საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4554
11/06/2019

4554-09-2-201906111700

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2019 წლის 3 ივნისის N3-344 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ.თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ისთ ფოინთ“-ში მდებარე ჰიპერმარკეტ „კარფურში“ შეძენილი კარაქი „ვალიო 82%“-ს შენახვის პირობების შემოწმებას, გაცნობებთ, რომ სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა 2019 წლის 15 აპრილს განახორციელეს სახელმწიფო კონტროლი ზემოაღნიშნულ ჰიპერმარკეტში (შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ ს/კ404923749 მის:თბილისი, თვალჭრელიძის ქ.N2). შემოწმებისას მითითებული კარაქი სამომხმარებლო მაცივარში აღარ იყიდებოდა. აღნიშნულ მაცივარში დაცული იყო სურსათის შენახვის პირობები. სახელმწიფო კონტროლისას „ვალიო“-ს 82% კარაქი განთავსებული იყო საწყობში, სადაც კარაქის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების და შენახვის პირობების დარღვევა არ დაფიქსირდა.

ლაბორატორიული კვლევის მიზნით „ვალიო“-ს 82% კარაქი აღებულ იქნა საწყობიდან. ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა შემდეგ მაჩვენებლებზე: სალმონელა და Listeria monocytogenes. კვლევის შედეგად დარღვევა არ გამოვლინდა.

სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა „კარფური“-ს „ვალიო“-ს 82% კარაქით მომმარაგებელ სადისტრიბუციო კომპანიის (შპს „ევროპროდუქტი“ ს/კ202227134 მის:თბილისი, გაგრის ქ.N2) სამაცივრე საწყობშიც, ასევე შემოწმდა მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები. შემოწმებისას დარღვევები არ გამოვლინდა.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge